სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N 20

ქ. ბათუმი 09 თებერვალი 2021 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,ხელვაჩაურის წყალკანალი“ ს/კ448382562 (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის, ვლადიმერ მიქელაძის სახით და მეორეს სს ,,ელიტელიქტონიქსი,, ს/კ 202268928) (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი გენერალური დირექტორი ლადო ჯობავას სახით ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]” ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ერთი ცალი მობილური ტელფონის აპარატი SAMSUNG-A10S32GB Black SM – A107FAKDCAU CPV კოდი 32552100 - ტელეფონის აპარატები სახელმწიფო შესყიდვა, თანახმად დანართი 1-ის, კერძოდ:

3. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 409.99 (ოთხას ცხრა და ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი1-ის თანახმად.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასაქონლო ზედნადები / ანგარიშ-ფაქტურა) და საქონლის
მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მოწოდების სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.
4.2 საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 18 თებერვალის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,ხელვაჩაურის წყალკანალი"-ის დირექტორი - ვლადიმერ მიქელაძე
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და <u>მოქმედებს 2021 წლის 28 მაისი ჩათვლით</u>.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“

შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“ მის: ქ. ბათუმი დიდაჭარის #23 ს/კ 448382562
ტელ/მობ: 595958561
საბანკო რეკვიზიტები:
სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22K
ანგარიშის N GE13LB0115181315739000

დირექტორი: ვლადიმერ მიქელაძე

,,მიმწოდებელი“

სს ელიტელექტრონიქსი
ს.კ 202268928
მის: ალ. ყაზბეგის და ს. ჭავჭავაძის ქუჩების შესაყართან / ჭავჭავაძის #78-88
მიმღები ბანკი სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის N GE69TB0600000120467205
მობ : 99532484848

გენერალური დირექტორი: ლადო ჯობავა

LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY

Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY
Дата: 2021.02.09 10:48:34 +04'00'

JSC Elit Electronics

Digitally signed by JSC Elit Electronics
Date: 2021.02.09 13:00:13 +04'00'

დანართი 1

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	cpv - კოდი
1	მობილური ტელფონის აპარატი SAMSUNG-A10S32GB Black SM – A107FAKDCAU	ცალი	1	409,99	409,99	32552100
	ჯამი				409,99	

შემსყიდველი

შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“

დირექტორი

ვლადიმერ მიქელაძე

LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY

Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY
Дата: 2021.02.09 10:48:54 +04'00'

მიმწოდებელი

სს ელიტელექტრონიქსი

გენერალური
დირექტორი

ლადო ჯობავა

JSC Elit Electronics

Digitally signed by JSC Elit Electronics
Date: 2021.02.09 13:00:39 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბათუმი

`სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მობილური ტელფონის აპარატი SAMSUNG-A10S32GB Black SM – A107FAKDCAU სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში სადაც მიმწოდებლად სს ელიტელექტრონიქსი გენერალური დირექტორის ლადო ჯობავა მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“ დირექტორი LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Дата: 2021.02.09 10:49:08 +04'00' **ვლადიმერ მიქელაძე**

სს ელიტელექტრონიქსი გენერალური დირექტორის **ლადო ჯობავა**

JSC Elit Electronics Digitally signed by JSC Elit Electronics Date: 2021.02.09 13:01:03 +04'00'